საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №11/04
2025 წლის 31 იანვარი

ქ. თბილისი

„მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №111/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №111/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 22/06/2023; ს/კ: 220010000.18.011.016692) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის წარმოებული ინსტრუმენტების რისკის პოზიციის ღირებულება, რომელიც ექვემდებარება კონტრაჰენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას, განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „კონტრაჰენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ დებულების“ შესაბამისად.“.

2. 49-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. აქტივის გაყიდვისა და გამოსყიდვის (რეპო და უკურეპო გარიგებების) შემთხვევაში, რომელიც გულისხმობს სესხის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ტიპის აქტივის წინასწარ განსაზღვრული პირობებით შესყიდვას, შეწონვისათვის რისკის წონა უნდა მიენიჭოს აქტივს და არა კონტრაჰენტ მხარეს.“.

3. XII თავი ამოღებულ იქნეს.

4. დანართი №1-ის ცხრილი 7 ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი **ნათელა თურნავა**